ხელშეკრულება №6/2 12

ქ. თბილისი 01/ 06 /2016 წელი

ერთი მხრივ სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (ს/კ 201948928; ფაქტიური მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №182), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, დავით დოიაშვილის სახით, (შემდგომში წოდებული „შემსრულებლად") და მეორე მხრივ სსიპ ''თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლა" (ს/კ 230867041) წარმოდგენილი მისი დირექტორის თ. ფიჩხულაშვილის სახით (შემდგომში წოდებული ''შემსყიდველი") (ერთობლივად წოდებული "მხარეებად")

ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. 2016 წლის 7 ივნისს დაგეგმილი სპექტაკლზე ''ფსკერზე" დასასწრები 23 (ოცდასამი) ცალი ბილეთი. (თითოეულის ფასი 10 (ათი) ლარი) - (შემდგომში წოდებული ''მომსახურება")
2. ''შემსყიდველი" წინასწარ აუნაზღაურებს ''შემსრულებელს" მომსახურების ღირებულებას.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. ''შემსრულებელი" ვალდებულია განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2016 წლის 7 ივნისს.
2. ''შემსრულებელი" ვალდებულია მიაწოდოს ''შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპექტაკლის ''ფსკერზე" დასასწრები ბილეთები ისე, რომ ''შემსყიდველმა" შეძლოს ''მომსახურების" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიღება.
3. მხარეები მომსახურების გაწევის ფაქტს დაადასტურებენ მიღება-ჩაბარების აქტებით. აქტი გაფორმდება ხელშეკრულების დასრულებისთანავე.
4. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდიერად განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

1. ''შემსყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს ''შემსრულებელს" მომსახურების ღირებულება 230 (ორასი ოცდაათი) ლარის ოდენობით:
2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ, ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემდეგ საბანკო ანგარიშზე:
   ბანკის დასახელება: **სახელმწიფო ხაზინა**
   საბანკო კოდი: **TRESGE22**
   მიმღების ანგარიში: **ხაზინსი ერთიანი ანგარიში**
   მიმღების სახაზინო კოდი: **7 0818 74 99 - სხვა არაკლასიფიცირებული არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების საფასური**

მუხლი 5. ფორს – მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად.
2. მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გონივრულ ვადაში შეატყობინოს ფორს-მაჟორის თაობაზე.

**მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

**მუხლი 7. დავის მოგვარება**

მხარეთა შორის არსებული დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 8. დასკვნითი დებულებები**

1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან შესწორების შეტანა დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
2. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილად ცნობა არ იწვევს ავტომატურად სხვა ნაწილების ბათილად ცნობასაც, თუ ხელშეკრულება აზრს არ კარგავს მისი ბათილი ნაწილის გარეშე.
3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლიარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.

**მუხლი 9. მხარეთა ხელმოწერები**

შემსრულებელი

/------------------------------------------/

სსიპ „თბილისის ვახო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის
პროფესიული სახელმწიფო თეატრის"
**სამხატვრო ხელმძღვანელი/**
**დირექტორის მოვალეობის**
**შემსრულებელი: დავით დოიაშვილი**

შემსყიდველი

/------------------------------------------/

სსიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის
**დირექტორი: თ. ფიჩხულაშვილი**

მიღება-ჩაბარების აქტი №1

07/ 06 /2016 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ **სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (ს/კ 201948928; ფაქტიური მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №182), წარმოდგენილი ფინანსურ დარგში დირექტორის მოადგილის ლევან აბულაძის სახით, (შემდგომში წოდებული „შემსრულებლად") და მეორე მხრივ **სსიპ ''თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლა''** (ს/კ 230867041) წარმოდგენილი მისი დირექტორის თ. ფიჩხულაშვილის სახით (შემდგომში წოდებული ''შემსყიდველი'') (ერთობლივად წოდებული ''მხარეებად'') ვადასტურებთ, რომ

1. ''შემსრულებელმა'' შეასრულა, ხოლო ''შემსყიდველმა'' მიიღო მხარეთა შორის 2016 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით №6/2 გათვალისწინებული მომსახურება. კერძოდ, მიიღო სპექტაკლზე ''ფსკერზე'' დასასწრები 23 (ოცდასამი) ცალი ბილეთი
2. ზემოაღნიშნული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 230 (ორას ოცდაათი) ლარი.
3. მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

მხარეთა ხელმოწერები

შემსრულებელი

/---------------------------------------------/

სსიპ „თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის"
დირექტორის მოადგილე საფინანსო დარგში: ლევან აბულაძე

შემსყიდველი

/---------------------------------------------/

სსიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის
დირექტორი: თ. ფიჩხულაშვილი